დიდება და მადლობა ღმერთს!

არ მეგონა, რომ მომიწევდა მამაჩემის, რომან მახარაძის ნახატების ალბომისთვის შესავალი სიტყვის დაწერა. არა იმიტომ, რომ არ ვფიქრობ მამის სულზე, არა. ალბათ იმიტომ, რომ მისი ნათელი და ძვირფასი სული ჩემს ნაღვლიან მოგონებებთან ერთად საუკუნო განსასვენებელში საიმედოდ მეგულებოდა. ნაღვლიანი მოგონება იმიტომ, რომ ჩემ გვერდით აღარ არის და ამით ბევრი რამის ცოცხლად სწავლის საშუალება აღარ მაქვს. ალბათ კიდევ ის, რომ ვფიქრობდი არ წავიდოდა, კარგად ვუგებდი და ძალიან მჭირდებოდა. მჭირდებოდა, რადგან სიჩუმის ფასი იცოდა; დაკვირვების, მუშაობის, თავმდაბლობის, უანგარობის, გვერდში დგომის ფასი, ყადრი იცოდა. ბობოქარი შემოქმედის ხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ თავმდაბლობით, სიწყნარე-სიჩუმეში დუღილით, გატაცებით, ჩუმი აღმაფრენით იყო სავსე. ბევრჯერ მინახავს ასეთი. მაშინ სახელს ვერ ვარქმევდი, – ან ვერ ვამჩნევდი შიგნიდან ცეცხლს, ან უბრალოდ სიყმაწვილისა გამო (რაც ყველაზე დასანანია), არ მეცალა. დროს უფრთხილდებოდა, ამიტომ არ კარგავდა. სულ მდიდრდებოდა, თავის თავზე მუშაობდა. წიგნ-რვეულში ჩანაწერებს და გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამებს აგროვებდა.

პატარა რომ ვიყავი, მახსოვს, მის სამუშაო მაგიდასთან ჩუმად მისვლა და თამაში მიყვარდა. უჯრას გამოვხსნიდი და უამრავი სხვადასხვა ზომის, ფერის, მოყვანილობის, სიგრძის საოცარი სახატავი ფუნჯი მხვდებოდა – ნაირფერ ფანქართან და სახატავ საგნებთან ერთად. ფუნჯებზე შერჩენილი საღებავისა და ზეთის ან გამხსნელის სუნს შევისუნთქავდი და ფრთხილად ვიწყებდი სათითაოდ ხელში აღებასა და თვალიერებას. იქვე მამის სათვალესაც მოვირგებდი და ვიწყებდი „ხატვას“, რისთვისაც აუცილებლად გარეგნულად მკაცრ, მაგრამ თვალი და ხმა რომ გასცემს მთქმელს გულის სირბილეში, „სასჯელს“ ვიღებდი – აღარ მოჰკიდო ფუნჯებს ხელი. მაგრამ ძნელი იყო მოვრეოდი თავს. რადგან საღებავის ქილების ერთმანეთზე შეხებით გამოცემული ხმა მომწონდა. თან იმ უზარმაზარ, თავისი ხელით გაკეთებულ წიგნების თაროს ყავისფრად შეღებილ „საცავებში“ უამრავ საინტერესო რამეს ვხედავდი, ვათვალიერებდი და ვთამაშობდი. ამის შემდეგ დავიწყეთ ფანქრით ხატვის გაკვეთილები, ასე ვიტყვი – დავიწყეთ ურთიერთობა ორივე მხარის – მამისა და შვილის – თანხმობით ერთ მთავარზე: ის ცდილობდა თავისი ცოდნა, ჩვევა, გამოცდილება გადმოეცა და მე – მიმეღო, შემეთვისებინა. შეიძლება ითქვას, რომ მამა მიმგვანებდა და მე ვემსგავსებოდი. კარგად მახსოვს, პირველად ჩანახატების გასაკეთებლად რომ წამიყვანა. წავედით ბარათაშვილის ხიდთან. სანაპიროზე ვიდექით ორნი და პლანშეტებზე ცალ-ცალკე ვხატავდით. დროდადრო მისწორებდა. სავსე ვიყავი ყველაფრით. ის ჩვევა და განცდა მომყვება დღესაც – ვაკვირდები გარემოს, ფერს, დღის შუქს, მცენარეს, თითქოს უმნიშვნელოსაც კი, მაგრამ ძვირფასს. შემდეგ ინსტიტუტში ხშირად მარტო დავდიოდი ჩანახატების საკეთებლად – ქუჩებში, ტყეში, ექსპედიციებში. გამაცნო თავისი მეგობრები. ბევრ მათგანთან ახლაც მაქვს ურთიერთობა. ერთად მოვიარეთ შატილი, მუცო. ბევრი რამ გავიგე, ვისწავლე. საკუთარ თავთან ყოფნის, საუბრის სიმფონია. ყველაფერ ამას მოჰყვა მთავარი – გარეჯში მივედი და იქ დავიბადე მეორედ. მახსოვს, მოსწონდა, უკვირდა, უხაროდა და ეამაყებოდა კიდეც. თავად პარტიული არ ყოფილა. მხატვარი იყო. სამშობლო უყვარდა. ღვინოს აყენებდა, ვაზი უყვარდა. თავისი კუთხე უყვარდა – გურია. ბავშვობაში წამოსულან. ჩვენ, შვილები, იქ აღარ ვყოფილვართ. ნახატებიდან ვიცნობდი. ახლა ვამსგავსებ. შიგნიდან მღერის ნაღვლიან, მაგრამ მტკიცე მონატრების სიმღერას. ამ სოფლიდან გასვლის წინ დაძმებმა სიმღერა იმღერეს ერთად. და წავიდა იმ ქვეყანას. საკვირველია, ჩამწვდომია, დიდ მანძილს გამწვდომია... დროის, სავალის დიდ მანძილს. ვფიქრობ, მიმგვანებდა და დავემსგავსე.

ვმადლობ ღმერთს ჩემი მშობლებისათვის. ღმერთს ვავედრებ მამაჩემის სულს. შეუნდევ და შეიწყალე. ამინ.

უღირსი